

საქართველოს
ქრონიკის
მედიტა

ბურჯი ეროვნებისა

ოქტომბერი

1995 წელი



3

აგიგურიანის
ფურცელი
გვ. 3-9

სოლა — ჩვენი
სამკვიარი
გვ. 2

შეკითხვა ქალაქის
შეს
გვ. 6

ანა ბანა
გვ. 15

ღიმიტრი ყიფიანი —
ქართული ენის
შოთაბა
გვ. 4

სხვისი აზრი ჩვენი
კომენტარით და
უკომენტაროდ
გვ. 13

რა ენა ნახლავს
გვ. 7

ერი დელაა ენისა
გვ. 3

სიზარფით სავსე
ქართული
გვ. 5

ოღონდ ქართულად
ილაპარაკეთ
გვ. 11

გულს შისვენია
საგლა ენა შთისა და
ბარისა
გვ. 12

ქართველურ ენათა
ღიალქებუი
გვ. 16

სკოლა — ჩვენი სატკიპარი

ბესარიონ ჯორბენაძის
საზოგადოების ზაზაეთი

მთავარი რედაქტორი

გიორგი ბოგოლასვილი

მთავარი რედაქტორის
მოადგილე

იოსებ ჯუმაშვილი

რედაქტორები

ნანა ჯორჯაძე,

რამაზ ქურაძე,

ნინო ჯუმაშვილი,

ქართველ დათუქიშვილი,

დირექტორი

კახა ზაზუნია

პასუხისმგებელი მდივანი

ვაჟაჟა ძირია

მხატვრული რედაქტორი

ილია ზრეკლეშვილი

სარედაქციო საბჭო

შუშია აფრიდონიძე,

გენალი პუბლიკამ,

ლექსა გეგუნიძე,

კორნელი დანელია,

ბიბინო კანაჩაძეანი,

მანანა კობაიძე,

რუსულან ლანდია,

თამაზ ხმაჯაძე,

ნინო ჯორბენაძე

მხატვარი

გიგა ჯაფარი

სამაჟორე მხატვრული
ანტიონ დუშაბაძის

ეროვნული სკოლის პრობლემები ჩვენი საზოგადოების მოუშუშებელ ტიპიკულად რჩება... თითქმის საუკუნის წინანდელი დარდი ქართველი კლასიკოსისა, ჩვენდა საუბედუროდ, საოცრად მიესადაგება დღევანდლობას... გათავაზობთ ფრაგმენტებს ნიკოლორთქიფანიძის წერილიდან („შემთხვევითი წერილი“). მოუფსმინოთ მის გულისტკივილს და შეიხედეთ ჩვენს სკოლებში...

„სწავლა დაიწყო და როგორც ოსტატები, ისე დიდი და პატარა შეგირდები დაფუსფუსებენ წიგნის მალაზიში და ეძებენ საჭირო სახელმძღვანელოებს.

... მოითხოვენ ალგებრას, გეომეტრიას, გერმანულს, ფრანგულს, ხანდახან სომხურსაც კი, მაგრამ ვერ გაიგონებთ, რომ ვინმემ ქართული ენის სახელმძღვანელო მოითხოვოს... ლათინურის სახელმძღვანელოებმა ისე გამოეცვს თამადათაი, მხოლოდ ქართულს, ქართულს არაფერი ეშველა...

რომ კითხვით ზავდეს, რა ისწავლა, რას სწავლობენ ესე ქართულში, ხეირიანად ვერც გეტყვის პასუხს...

საერთოდ ქართული ენის მდგომარეობა არსად არ არის სასურველად დაყენებული; არსად არ ისწავლება ქართული ენა ისე, როგორც ამას მოითხოვს ყოველი ერი თავისი დედაენისთვის. ფრანგმა მონაფემ ბევრად უკეთ იცის ფრანგული, გერმანელმა მონაფემ — გერმანული, რუსის შეგირდმა — რუსული, ვიდრე ქართველმა მონაფემ ქართული... ქართული ენის დაბეჩავებას ცხოვრება ძლიერ აშკარად ამჟღავნებს, ისე რომ როგორც მასწავლებელი, ისე მონაფეც საკმაო ყურადღებას და გულმოდგინებას არ უძღვნიან ქართულის შესწავლას. სხვაგან, გარდა ეროვნული გრძნობისა, ენის შესწავლის სურვილს ბევრად უფრო აძლიერებს საჭიროება. ჩვენში კი ასეთი საჭიროება ძლიერ და ძლიერ პროპაგანდური საკითხია უმრავლესობისათვის. რაც უნდა გულმაგარი ოსტატი იყოს და გულმხურვილუ შეგირდი, მაინც მათი ენერჯია სუსტდება შავის ფიქრით, რომ უქართულოდაც შეიძლება ცხოვრების გზის გაკაფვა, კეთილ მოქალაქედ გახდომა.

თითქმის ყოველ მთავრობის სასწავლებელში რამდენიმე გაკვეთილი აქვს დათმობილი ქართულს... საუბედუროდ, გაკვეთილების ამ მცირე რიცხვსაც ვერ ვიყენებთ. მართალია, თვით მთავრობა არ უწყობს ხელს, რომ საგანი კარგად იქნეს დაყენებული, მაგრამ ბევრში მასწავლებლები და საზოგადოება არის დამნაშავე... სასწავლებლების უმრავლესობაში დაბუდებული ისეთი ოსტატები ქართული ენისა, რომ დიდ გულკეთილობად მიაჩნიან შეგირდს სუთებით აუცხონ „დიღური“, და მთელი გაკვეთილი ზღაპრების მობაში და საოჯახო მასალაში გაატარონ, მაშინ როდესაც თუ არ ენის, ისტორიის და გეოგრაფიის შესწავლა — ამ საგანთა შეყვარება მაინც შეიძლებოდა.

რადგან მთავრობა ამ საქმეს არ კიდებს ხელს, რადგან ზოგიერთისთვის ხელსაყრელიც კი არის ასეთი მდგომარეობა, ჩვენ შეგვიძლია, თუ მეტ უნარს გამოვიჩინოთ, ქართული ენის სწავლება უფრო კარგად (არა სასურველად, არამედ უფრო კარგად) მოვაწყოთ. ამისათვის საჭიროა საუკეთესო ქართველმა ინტელიგენტებმა არ იუკადრისონ და ეცადონ როგორმე აიღონ ქართულის გაკვეთილები სასწავლებლებში. ეს ერთი. მეორეც, შეიძლება სასწავლებელთან არა სავალდებულო გაკვეთილები ქართული ენისა დაარსდეს. ვინც გულით მოეკიდება ამ საქმეს, კიდევ მოახერხებს. თუ ინგლისურის და ესპერანტოს შესასწავლად არსდება ჯგუფები, თუ ნებას აძლევენ მთავრობის სასწავლებლები არა სავალდებულო გაკვეთილებისას ყოველ მასწავლებელს, ვერც ქართული ენის ოსტატებს ეტყვიან უარს ამაზე, თუნდაც გულში არა სასიამოვნოდ ეჩვენოსთ. ასე სემრედ არ მოიქცევიან უბრალო მიზეზების გამო. არავის არ სურს აშკარად თავისი თავი უსინდისოდ დასახოს. ამ საქმისათვის ინტელიგენციის შეკრება ქ.შენკრა-კითხ. გამაერცვლებელ საზოგადოების

საქმეა. მე რომ რაიმე გავლენა შექონდეს, თვით აკაკისაც კი მიემართავი თხოვნით, ათასგან დაუფასებელ სამშობლოსათვის შრომას ერთი მისთვის არა ჩვეულებრივი ღვაწლი დაუმატოს. პირადის მაგალითით აჩვენოს ჩვენს საზოგადოებას და მთავრობის სასწავლებლებში ქართულის მასწავლებლად შევიდეს და დაანახოს ყველას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ნელინადში ორმოციოდ გაკვეთილსაც კი. ერთი მისი კათედრაზე დაანახვა საუკუნოდ შეაყვარებს შეგირდებს ქართულის გაკვეთილებს და როგორც ტრადიცია მოდგმიდან მოდგმაზე ვადავა სურვილი ქართულის შესწავლისა ასეთ ცუდ მდგომარეობაშიც კი.

ჩვენი ინტელიგენციაც დარწმუნდება, რომ ქართულის გაკვეთილები მთავრობის სასწავლებელში ყურადღების ღირსი არის, რომ რამდენიმე გაკვეთილის დროს ისეთის გრძნობების გაღვივება, ისეთი ცოდნის გადაცემა შეიძლება, რომელსაც თვით საუკუნე ვეღარ აღმოფხვრის.

... ყოველი მომზადებული და გულწრფელად მომუშავე მასწავლებელი მიიზიდავს შეგირდებს. წარმოუდგენელია, რომ ნ. ბარათაშვილის, ილ. ჭავჭავაძის, აკაკის პოეზიამ, ყაზბეგის პროზამ არ მოხიბლოს მონაფეები და, თუ ახლა გაუბიან გაკვეთილებს, ეს ნათლად ამჟღავნებს მასწავლებლის სრულს უფიცობას. ამას უნდა მოედოს ბოლო“.

(1909 წელი)

დაიხს, ამას უნდა მოედოს ბოლო. საბედნიეროდ, ბევრს ვფიქრობთ და ვზრუნავთ მომავლის სკოლაზე, მაგრამ იგაღასა და ხელს შუა გვეჩვენება დღევანდელი სკოლა.

გვეჯერა: XX საუკუნის სკოლის ნანგრევებზე XXI საუკუნის სკოლა არ აშენდება.

გვეთანხმებით? ერთად ვიფიქროთ და ვეძებოთ გამოსავალი.

არ გვეთანხმებით? დმერთმა ქნას, ეცდებოდეთ, მაგრამ მოგვანოდეთ თქვენი აზრი, დაგვაიშედეთ...

ერი დედა ენისა

იაკობ გობაჯაშვილი

ბურჯი ეროვნებისა

რა კავშირი აქვს დედაენას ენის სულთან და ხორცთან, მის წარსულთან; რა შედეგი მოსდევს სწავლა-აღზრდაში დედაენის უარყოფას, უცხო ენისათვის უბირატესობის მიცემას... ეს ის კითხვებია, რომლებიც, ჩვენი აზრით განსაკუთრებით აქტუალურ მნიშვნელობას იძენენ დღეს. მოვუხსინოთ დიდ იაკობს. გთავაზობთ კლასიკური ნაშრომის ერთ-ერთ თავს.

ერთს ძლიერს ღონისძიებას გონების სწორე გახსნისათვის სიპატარაის დროსა, მის ბუნების შესაბამის იარაღსა, რომლის ხმარება და გამოყენება ბავშვს ძლიერ ეადვილება, და ძალად აჩეჩებს ხელში იმისთანა შეუსაბამო იარაღს, რომლის მოხმარების შეთვისება ძლიერ ძნელია და რომელიც არას დროს არ გაუწევს ბუნებითის იარაღის სამსახურსა.

ამ გვარი უკუღმართობა მბადავს უთანხმოებას, წინააღმდეგობასა ბავშვის მეტყველებისა და მის სულის და ხორცის შუა და, რომ ამ წინააღმდეგობას დამღუპელი გავლენა უნდა ჰქონდეს ბავშვზე, ადვილი მისახვედრია. ბავშვი, დაბადებიდანვე მოკლებული დედა-ენის გამაცხოველებელს გავლენას, ისე ძნელად ისწავლის ჯეროვან აზროვნებას და ისეთი უხეირო ჭკუის პატრონი გამოვა, როგორც უხეირო მემუხიკედ შეიქმნება ადამიანი, მესკრიპედ დაბადებული და მეფორტეპიანედ ძალად გაზრდილი, ანუ უფრო უკეთ: ამ გვარი ბავშვი ეგვანება საცოდავს მერცხალს, რომელსაც ძალ-დატანებით მერცხლის ჭიკჭიკს უკრძალავენ და შოშისა სტეენას ასწავლიან. ამ უკუღმართი გზით აღზრდილი ბავშვი ვერას დროს ვერ ავა იმ გონების სიმაღლემდის, რომელიც შეეფერება მის ბუნებითს ნიჭსა, ვერ მიეწევა, ვერ ეღირსება ჯეროვანს სიღრმეს

აზრისას და გრძნობისას, მეტნაკლებობით გამოვა ნეკერ-ნეკერა, ქარაუშუტა პირი, უხასიათო ადამიანი და იმის ნახვევარსაც ვერ გააკეთებს თავისს სიცოცხლეში, რის გაკეთების ნიჭიც მისთვის ბუნებას მიუცია. ასე აშკარად სჯის ბუნება ყველას, ვინც კი მას ჰლაღატობს, არღვევს მის კანონებსა და უკუღმართად იქცევა.

ის მოვლენა, რომ ზოგი ადამიანი ზედმინეწით სწავლობს უცხო ენებსა, სრულიად არ ეწინააღმდეგება დედა-ენის ორგანიულს შეხორცებასა მისს ბუნებასთანა. უხელო ადამიანები ხშირად ფეხითა სჭრიან და აკეთებენ თითქმის ყველა იმას, რის გაკეთებისათვისაც ღმერთს ჩვენთვის ხელი მოუნიჭებია; მაგრამ ნუ თუ ამ ფაქტს შეუძლიან ვისიმე თვალში შეამციროს ხელების უბადლობა, შეუდარებლობა სხვა-და-სხვა საქმის გაკეთებისათვის! ამავე აზრის დასასრულებლად მარჯვე მაგალითს წარმოადგენს ამერიკის ერთი შროშანი. ეს შროშანი საოცარი ოსტატობით მბაძავს ყველა ფრინველის გალობასა და ყველა ცხოველის ხმაურობასა, ბულბულის გალობიდან დაწყებული ძაღლის ყეფამდე. გარნა მხოლოდ თავისი ბუნებრივი სტეენა უხდება მას, მხოლოდ ამ სტეენით მხატვარს მკადიოდ და სრულად ნამდილს მოძრაობას და გრძნობას სულისას, მარტო ამ თავის სტეე-

ნით ასიამონებს მსმენელსა, ანონებს თავსა და თავისს არსებობის თავისებურობას და საგრებლობას ამტკიცებს.

მეტადრე ერთს ფრიად სიმპატიურს სფერაში აშკარადება უძღურება ყველა უცხო ენისა. ეს გახლავთ ნაზის გრძნობის, ალერსის სფერა. ბავშვი, მოზრებული და მოკლებული დედა-ენას, ვერას დროს ვერ მიესაყვარლება თავისს მშობელთა და ნათესავთა სრულის გრძნობის გამომხატველ სიტყვებით, ვერასდროს ვერ იმოგნის იმისთანა ღრმად გულში მოსახვედრს გამოხატულებათა, როგორიც არიან „შენი ჭირიმე“, „შენ გენაცვალე“, „შენ გეთავყვანე“, „თავს შემოგველე“, „ნამალად დაგედე“ და მრავალი სხვანი. ამასთანავე უძღურებას ენისას იგივე ბავშვი გამოსცდის დიდობაშიაც თავისს გულის სატრფოს წინაშე, რომელსაც გულის ენის მაგიერად თავისი მსურველ გრძნობა და სიყვარული უნდა განუცხადოს მექანოკურად დასწავლილი, ცივი სიტყვებითა, მეხსიერების ენითა და ამით შესუსტოს, შელახოს და შეურაცხჰყოს თავისი ძლიერი გრძნობა და თავისი წმინდა გულის ტრფილი.

კიდევ უფრო უძღურია უცხო ენა აღზარდოს, გაფურჩქნოს და სრული ძლიერებით გამოსატოს ის მალალი და ღრმა მოძრაობა სულისა, რომელსაც ჰქვიან სარწმუნოებრივი გრძნობა. სარწმუნოება, სასოება მთლად და საესებით სუფევს ადამიანის გულში, და მხოლოდ გულში. ღმერთი არის მიუფე გულის, და მხოლოდ გულისა. ის მსურველ გრძნობა, რომლითაც ადამიანი მიმართავს უფალსა, საესებით გამოიხატება მხოლოდ დედა-ენით, იმიტომ რომ მხოლოდ დედა-ენა არის ენა გულისა, გრძნობისა. სხვა ენა აქ ყოვლად უძღურია. მხოლოდ დედა-ენაზედ შეიძლება ილოცოს ადამიანმა გულმხურვალედ...

დიად, მხოლოდ დედა-ენა არის ენა სულისა და გულისა, — ყველა უცხო ენანი კი არიან ენანი მეხსიერებისა.



დედა-ენა გარეგნობით როდია ადამიანის არსებასთან შეკავშირებული, იგი როდი მკავს ტანისამოსსა, რომლის გამოცვლა ადვილად და უწინებლად შეიძლება. მას აქვს ღრმად გამდგარი ფესვები ადამიანის ტვინში, ნერვებში, ხმის ორგანოებში, ძვალსა და რბილში, მთელს მის ბუნებაში; იგი არის ძვირფასი იარაღი, რომელიც ბუნებას ზედ გამოუჭრია ადამიანის სულსა და ხორცზედ, მის ფსიქოლოგიურს და ფიზიოლოგიურს აგებულებაზედ. ყოველს ადამიანს დაბადებიდანვე მკვება მიდრეკილება და ნიჭი დედა-ენის ადვილად და ღრმად შესწავლისა სწორედ იმ გვირად, როგორც ბულბულს მკვება დაბადებითგანვე ბულბულის გალობის ნიჭი, იადონს — იადონურის გალობის ნიჭი და სხვა. ბავშვის ყოველ აზრს, წარმოდგენას, გრძნობას და სულის მოძრაობას მხოლოდ დედა-ენა მხატვარს სინამდვილით და სისრულით.

ამასთან დედა-ენა არის ძვირფასი საღარო, დაუსრულებელი რვეული, რომელშიაც დაცულია მთელი სიმდიდრე ხალხის გონებისა, ფანტაზიისა და გულისა, ნაფიქრისა, ნაგრძნობისა და ნამოქმედარისა და რომლის შესწავლა ბავშვს აკავშირებს მთელის ერის სულთან და გულთან, მის ხანგრძლივ ისტორიულს ცხოვრებასთან და აესებს მას სულიერის ღონით და მხნეობით. ამიტომ, როდესაც რომელიმე მშობელი თავისს შვილს დედა-ენას აშორებს და უცხო ენას ასწავლის, რასა შეგრება ის ამით? იგი ხელიდგან ართმევს თავის შვილს ერთად-

სპეციალური ღვაწლისა

ლიბიტრი ყიფიანი — ქართული ენის მოაზარე



ლიბიტრი ყიფიანის შემოქმედებით შემკვიდრებაში მშობლიური ენა ქართველი ერის ნაციონალური თვითდამკვიდრების, იდეოლოგიური აღორძინებისა და, შესაბამისად, დენაციონალიზაციის მომაკვდინებელი საფრთხის თავიდან აცილების უმთავრეს საშუალებად მოაზრებული. აქ ხშირად გვხვდება მსჯელობა ქართული ენის, როგორც ჩვენი ეროვნული ინდივიდუალობის უმთავრესი ფაქტორის, ინტერესების დაცვის, მისი მოვლა-პატრონობისა და შემდგომი დახვეწა-განვითარების სასიცოცხლო მნიშვნელობაზე. მრავალთაგან ამჯერად ერთ მამაკლითს დავიმოწმებთ. კერძოდ, თხზულებაში „ჩემო გულითად საყვარელო თეიმურაზ“ დ. ყიფიანი მშობლიურ ენადაკარგულ პაროვნებას გადარჯულბულ, უწარსული და უმოკვლო, უდუღამოდ, უნათესაო, უმეგობრო, ულუკმაპურო და უსახლკარო კაცს ადარებს და დასძენს: „რაც ამ ერის კაცზედ ითქმის, ის მთელს ხალხზედაც ითქმის, მაგრამ ყოველივე უფრო სახარელი, უფრო გულის შემამარწუნებელი, უფრო სულის აღმაშფოთებელი: რომელიც ხალხი თავის ენას გადაივიწყებს, იმას ხალხის სახელი აღარა ჰქვია-რა, მნიშვნელობა და პატივი სრულიად აღარა აქვს-რა და ქვეყნიერებაში ისე გამოწყდება, რომ იმისი სახსენებელიც აღარა დარჩეს-რა, და არათუ მარტო თვითან გამოწყდება ეს ხალხი, თავის სასიქადულოს მამაპაათა ხსენებასაც ისე გააქრობს, რომ ქვეყანაზედ აღარავინ იცოდეს აღარც იმათი სარწმუნოებისათვის მოღვაწეობა, აღარც იმათი ხან მტერთაგან წამება და ხან მტრებზედ ძლევაშემოსილი გამარჯვება, აღარც იმათი კეთილი ზნეობა და სათნოება, სრულიად აღარაფერი, რაც რამ სულის გამშვენდელი და აღამაღლებელი არის კაცისათვის...“ აქ-ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ დ. ყიფიანი ამას წერდა XIX ს. 50-იან წლებში, როცა მეფისნაცვალ მ. ვორონცოვის მოქნილი ასიმილატორული პოლიტიკის შედეგად სახელმწიფო სამსახურში შესული ქართველი არისტოკრატების უდიდესი ნაწილი დამდგარი იყო გარუსებისა და, ამდენად, ნაციონალური გადაგვარების გზაზე. მშობლიური ენისადმი და, საერთოდ, ყოველივე მშობლიურისადმი ნიპილისტურ დამოკიდებულებას ამ წრეებში ტოტალური ხასიათი ჰქონდა მიღებული. ასეთ პირობებში დ. ყიფიანის, — სახელმწიფო სამსახურში დაწინაურებული მოხელისა და იმდროინდელი ქართული საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების მესვეურის, — ამგვარი დამოკიდებულება მშობლიური ენისადმი, რასაკვირველია, დიდად სასიკეთო გავლენას მოახდენდა ქართული საზოგადოებრივი აზრის ეროვნული მიმართულებით განვითარებაზე. უსათუოდ გადაგვარდება და დაიღუპება ხალხი, „რომელიც თავისი ენისათვის არასა ჰზრუნავს“, — აღნიშნავდა დ. ყიფიანი და იმდროინდელ საზოგადოებას თვითონვე აძლევდა მშობლიურ ენაზე ზრუნვის საუკეთესო მაგალითს.

დ. ყიფიანი იკვლევდა ქართული ენისა და დამწერლობის გენეზისის, ქართული სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციისა და სხვა კარდინალურ საკითხებს. ცალკე უნდა აღინიშნოს მისი გრამატიკული შეხედულებები და ა.შ. ამ უკანასკნელ სფეროში მრავალწლიანი მოღვაწეობა დ. ყიფიანმა დაავიჯრევინა 1882 წ. ხანტ-პეტრობურგში, საიმპერატორო აკადემიის სტამბაში დაბეჭდილი წიგნით „ხალი ქართული გრამატიკა“, რომელიც ა. შანიძის სიტყვებით, „ისტორიულ-შედარებითი მეოთხის წყალობით წინანდელ გრამატიკაზე უფრო მაღლა დგას და მათ შორის დ. ჩუბინაშვილისასაზედაც“.

სამართლიანობისთვის იხილ უნდა ითქვას, რომ ქართველმა მეცნიერებმა დროთა მანძილზე უკუაგდეს დ. ყიფიანის არაერთი მოსაზრება და ისინი ამჟამად ინტერესის საგანი შეიძლება იყოს იმდენად, რამდენადც ასახავს ქართული საენათმეცნიერო აზროვნების განვითარების გარკვეულ ეტაპს და მათ დღეს მხოლოდ და მხოლოდ ისტორიულ-მეცნიერული მნიშვნელობა თუ შეიძლება მიენიჭოს.

სავსებოდ უნდა აღინიშნოს დ. ყიფიანის თვალსაზრისი ქართული სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციის, ხალხის მეტყველებასთან მისი დაახლოების მნიშვნელობაზეც.

ცნობილია, რომ ქართული სალიტერატურო ენის ბუნებრივი განვითარება დიდად შეაფერხა ე.წ. სამი სტილის თეორიამ, რომელიც მთელი საუკუნის მანძილზე უკეტავდა გზას ხალხური მეტყველების ფორმათა შეტანას სალიტერატურო ენაში. ამ მხრივ ძირეული ცვლილებები იწყება XIX ს. 50-იანი წლებიდან, ხოლო 1854 წ. დ. ყიფიანი თეორიულად ასახულებს სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციის აუცილებლობას. კერძოდ, იგი ნაშრომში „Несколько мыслей о материялах для историй Грузии“ სავსებოდ აღნიშნავს: წმინდა წიგნების უძველესი თარგმანები დღესაც ადვილი გასაგება თითქმის ყოველი ქართველისათვის, მაგრამ შემდეგ საქვე ისე წარმართა, რომ „ამჟამად ზეპირი მეტყველება, — მოქნილი, ნარნარი და კამკამა, —

ქალღმრე გადატანისას ხდება რაღაც ბლანტი, მძიმე, არაბუნებრივი, ე.ი. ჩამორჩება ცოცხალ სასაუბროს და გადაიქცევა იმგვარ მთვლენარე ენად, დღეს რომ მწიგნობრულს უწოდებენ...“ ზოგიერთი მეცნიერი-ქართველოლოგი ვიუტად განაგრძობს ძველი, სქოლასტიკური, სტილის დაცვას და გაბატონებას. მაგრამ იმედია, რომ ცოცხალი მეტყველება მოიპოვებს გარკვეულ უფლებებს საერთოდ, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში, პირველადწვებით განათლებისთვის განკუთვნილ საკითხავებში ან წმინდა ბელეტრისტიკული მიხსნებისთვის მაინც“. საარქივო მასალებით ირკვევა, რომ იმავე 1854 წ. დ. ყიფიანს, როგორც კავკასიის სასწავლო ოლქის სახელმძღვანელების შემდგენელი კომიტეტის ქართული ენის განყოფილების თავმჯდომარეს, თბილისის გიმნაზიის სასწავლო პროგრამაში შეუტანია საეციალური საკითხები: „ძველ მწიგნობრულ ენასა და თანამედროვე ხალხურს შორის ძირითადი გრამატიკული განსხვავებანი“ და „სავარჯიშობით ძველი ენიდან თანამედროვეზე გადმოსაღებად“.

მოგვიანებით დ. ყიფიანმა თავისი შეხედულება სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციის პრობლემაზე უფრო მკაფიოდ ჩამოაყალიბა: „ყოველი მწიგნობრობის უმთავრესი მისაღწევი საგანი არის... დაახლოება, რამდენადც შეიძლება ბოლოს, სასაუბრო ენასთან, მაგრამ დაახლოება იმ განზრახვით, რომ თვით ეს ენა გასუფთავდეს, დამშვენდეს და დაწმენდილ იქნეს ყოველი უკვანი და უშვერი ლექსისაგან და ადვილი გასაგონი იყოს ყველასათვის“. ამასთანავე, სალიტერატურო ენა უნდა გაიმდიდრდეს დიდივეტებიდან შემოტანილი სიტყვებით, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს უკონტროლოდ, რადგანაც დიდივეტების მეტისმეტე სიჭარბე, — ავტორის აზრით, — გამოიწვევს ერთიანი სალიტერატურო ენის დაშლა-დაწვევებას.

ხატვასით უნდა აღინიშნოს, რომ დ. ყიფიანის მიერ ჯერ კიდევ 1841 წ. შესრულებული შექსპირის ტრაგედიის „რომეო და ჯულიეტას“ თარგმანში ამკარად შეინიშნება ენის დემოკრატიზაციის ტენდენციები. ხოლო მისივე თარგმანები 50-იანი წლებისა უკვე შეიძლება ჩაითვალოს ერთგვარ გარდამავალ ეტაპად ძველი, ე.წ. ანტიონისეული, ენობრივი ფორმებიდან და კონსტრუქციებიდან ახალ, — „თერგდალეულთა“, — ლიტერატურულ მეტყველებაზე. სხვათა შორის, ეს გარემოება შენიშნული აქვს მიხეილ ჯავახიშვილს, რომლის სიტყვებითაც, დ. ყიფიანი ებრძოდა ძველ ფორმებს და ეძებდა „ახალს, სინთეტურ ქართულს, რომელიც უნდა განეხილიყო კლასიკური ქართულისა და სახალხო შეერთების ნიდაგზე“.

ასე რომ, ლიბიტრი ყიფიანი დგას იმ სასიცოცხლო მნიშვნელობის რეფორმის სათავეებთან, რომელსაც ქართული სალიტერატურო ენის დემოკრატიზაცია ჰქვია და რომლის გაფართოება, მკვიდრ მეცნიერულ ნიდაგზე დაფუძნება და პრაქტიკული რეალიზაცია ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამაზრებებმა განახორციელეს.

სიტუაციით სავსე ქართული

ილია

* * *

დედაც ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი მხვედრია...
 შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულს ხალხსა;
 საღმრთოდ მიიღე სისხლი, რომელ ამ ხალხს უღვრია,
 ჩაგრულთ სასოო, ნუ არიდებ მოწყალე თვალსა!
 რაცა ტანჯულა ეს ქვეყანა, ტანჯვად ეყოფა,
 მოეცი ძალი დავრდომილსა კვლავ აღდგომისა,
 სახელოვანი განუახლე წარსულთ დღეთ ყოფა,
 მამაპაპური სული, გული მოჰმადლე შვილსა.
 ძლიერო ღმერთო! შენთვის ჰბრძოდნენ ქართველისა ძენი,
 დასაბამითგან არ იციან, რა არს მშვიდობა...
 იკმარე საღმრთოდ მათ პატიუნი და სისხლის ძღვენი,
 თუ რამ შეგცოდეს, — შეისყიდეს ტანჯვით შენდობა.
 მოჰმადლე ქართველს ქართველის ნდობა და სიყვარული
 და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული!..
 ჰოი, სახიერო! ცისარტყელა განავლე ცასა,
 რათა წარღვნისა მოლოდინი წარხოცო ხალხსა!...



აკაკი

* * *

დედაო ღვთისაე! შენი ხვედრია
 ეს საქართველო დიდჭირნახული,
 შეუნდევ ცოდვა!.. ნუ ააღებ ხელს,
 ღმობიერებით იბრუნე გული!..
 მოეც კურთხევა ზეცით, მაღალო,
 და გამოსახე ძლიერად ჯვარი,
 რომ აღადგინო ქართველთა ერი,
 დღეს დაცემული და ცოცხალ-მკვდარი!
 მისსა მხნეობას, მისსა ზნეობას
 განუმტკიცებდე აღმაფრენასა
 და შენს საქებრად, სადიდებელად
 ნუ დაივიწყებ იმ ტკბილ ენასა,
 რომლითაც თამარ ბრძანებას სცემდა,
 ქეთევან მარად შენ გადიდებდა
 და ნინო ძისა შენისა მცნებას
 შენგან რჩეულ ერს უქადაგებდა!..



თ. ანაზ ჩემო...

ანბანის ნაცვლად... „კოკა-კოლა“

ანუ შეკითხვა დღეაქალაქის შერს, გაზონ ნიკო ლეკიუვილს!



უმორჩილესად გთხოვთ, ამისხნათ, რატომ შეცვალა უღამაზესი ძველი ქართული ანბანის სტენდი, რომელიც ფილარმონიასთან სასტუმრო «მუზის» კედელზე იყო და აგრერიგად შეენოდა ქალაქს, «კოკა-კოლას» რეკლამამ.

დოცენტი ლია ჭვიშვილი

რა ენა წახდეს

მაინც რამდენი ენა უნდა იცოდეს თბილისელმა?

გთავაზობთ სიუჟეტს, რომელიც 1995 წლის 3 ოქტომბერს გადაიცა რადიოპროგრამაში „ენაა შემკული და კურთხეული“

„ბურჯი ეროვნებისას“ წინა ნომრების ბოლო გვერდებზე დაიბეჭდა ფოტოკოლაჟები: „რომელი ქვეყნის დედაქალაქია ამ სურათებზე ასახული?“ და „არ მოტყუვდეთ, ეს თბილისია“.

მართლაც, ამ სურათების შემხედვარეს „ბაბილონის გოდოლი“ გაგახსენდება, ისეა ერთმანეთში არეული სხვადასხვა ენა, ანბანი, შრიფტი... ვაკიდან რუსთაველამდე ფეხით ჩავლილი ადამიანი სულ მცირე რვა ენაზე შესრულებულ წარწერას, აბრასა თუ რეკლამას გადაყრება.

„ბაბილონის გოდოლი“

შემთხვევით არ მიხსენება. მოგეხსენებათ, „ბაბილონის ენების არევა“ ღვთის სასჯელი იყო კანდიერ ადამიანებზე გადმოვლენილი. „ბაბილონის გოდოლი“... ეს არის უწყისობა, უაზრობა... როცა ერთს მეორისა არა ესმის რაო“, — წერს თედო სახოკია თავის შესანიშნავ წიგნში „ქართული ხატოვანი სი-

ტყვა-თქმანი“. უფრო ადრე კი ილია ჭავჭავაძე ასე მიმართავდა ქართველ მოწაფეებს: „საწყალო ბავშვებო, თუ თქვენ ამ ბაბილონის გოდოლის აშენებაში სრული გონება კიდევ შეგერჩათ, ბარაქალა თქვენის ბუნების ძლიერებას!“.

ბარაქალა ჩვენც, ამ დღევანდელი ბაბილონის

გოდოლის შემხედვარეთ. ამ რეკლამების შემსრულებლები თუ საქართველოს ახალი კონსტიტუციით კვლავ და კვლავ სახელმწიფო ენად აღიარებულ ქართულს არა სცემენ პატივს, იმდენი მაინც ხომ უნდა იცოდნენ, რომ ყოველი წარწერა მინზად ისახავს ინფორმაციის გადაცემას წაკითხველისადმი; აბა, ისე რეკლამას რა აზრი აქვს?

მაინც რამდენი კაცი ეგულებათ თბილისში ისეთი, რვა ენაზე რომ ახერხებდეს წერას, კითხვასა და ლაპარაკს?

თაბაჯ ხალაპა

ვის ან რას ეთქმის ახალგაზრდა?

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ენაში ძალზე კავრცელდა სიტყვათშეხამებანი: ახალგაზრდა გოგონა, ახალგაზრდა ქალიშვილი, ახალგაზრდა ბიჭი, ახალგაზრდა ვაჟი, ნორჩი ნერგი, ახალგაზრდა ნარგავი, ახალგაზრდა კარტოფილი, ახალგაზრდა ჭარხალი...

ყველა ეს სინტაგმა ქართულში თარგმანის საშუალებით მოხვდა, შემდეგ ორიგინალურ ლიტერატურაშიც შეაღწია და საკმაოდ მკვიდრად მოიკიდა ფეხი. უმართებულო გამოთქმებმა ზოგან ტავტოლოგიური, ზოგან კი უაზრო სიტყვათშეხამებანი მოგვცა.

მაგალითად: „გამოვადექით... ამ მომხიბლავ ახალგაზრდა გოგონას“, „ფილიპ ტატალია... იდგა საწოლთან, რომელზეც სრულიად ახალგაზრდა გოგონა იწვა“, „ახალგაზრდა ქალიშვილს სურს გაიცნოს ახალგაზრდა ვაჟი“, „ჩვენზე მომსახურებისათვის გამოწვებული ორი ელევანტური ახალგაზრდა ბიჭი დაგვხვდა“, „ნორჩი ნერგები უწყლობამ გაახშო“, „ქარი... ახალგაზრდა ნარგავებს ძირიანად თხრიდა“, „უტრანსპორტობის გამო ახალგაზრდა კარტოფილი ადგილზევე უღაპებოდა“, „ეს ჭიები ახალგაზრდა ჭარხლის ნაზ და ტკბილ ფესვებს დაჰხეოდნენ“...

სამწუხაროდ, მსგავსი მაგალითების

მოყვანა უსასრულოდ შეიძლება.

ცხადია მსახლვერელი („ახალგაზრდა“) ასეთ სიტყვათაშეთანხმებაში სრულიად ზედმეტია — „ბიჭი“, „გოგო“ ამგვარ განსაზღვრას არ საჭიროებს.

აზრი სავსებით ნათელი, ხოლო წინადადება სტილისტურად გამართული იქნებოდა, თუ გოგონას, ქალიშვილის, ბიჭის, ვაჟის ნაცვლად ვიხმარდით ქალსა და კაცს.

მსგავსი ვითარებაა „ახალგაზრდა ნარგავის“ გამოყენებისას. გამართული ქართულით „ახალგაზრდა ნარგავს“ ნერგს უწოდებენ, ხოლო „ნორჩ ნერგს“ ისევ ტავტოლოგიურ გამოთქმასთან მივყავართ (ნერგი მცირეწლოვანი ხეა). ნერგთან გამართლებულია დიდი და პატარა ზედსართავების გამოყენება, რაც არც ენის ნორმებს არღვევს და სტილისტურადაც გამართულია.

რაც შეეხება ახალგაზრდა კარტოფილს, ახალგაზრდა ჭარხალს, ახალგაზრდა ხახვს, რასაც ხშირად ვარდების პრესასა თუ ზაპირმეტყველებაში, ესენი რუსული ენის კალკებია. რუსულში სხვაგვარად არც ითქმის, ხოლო ქართულში უნდა ვთქვათ ახალი კარტოფილი და ახალი ხახვი; ნორჩი ჭარხალი (როცა მცენარეს ეხება და არა ნაყოფს)...

პანტანა მალრაპი

ალქმა და ალთქმა

თანამედროვე ქართულში ხშირად გამოიყენება სიტყვა ალქმა. იგი ფსიქოლოგიის ტერმინია და აღნიშნავს ცნობიერებაში ობიექტური სინამდვილის ფაქტების (საგნების, მოვლენების) ასახვის პროცესს. ჩვეულებრივია გამოთქმები: მხატვრული ნაწარმოების ალქმა, მუსიკის ალქმა, რაიმე დოკუმენტის ალქმა და მისთანანი.

ზოგჯერ სიტყვა ალქმა ირევა ბგერობრივად მის მსგავს სიტყვაში ალთქმა, რომელსაც განსხვავებული სემანტიკა აქვს. ალთქმა არის ალთქმავს ზმნის მოქმედების სახელი და აღნიშნავს დაპირებას, სიტყვის (პირობის) მიცემას, დანაპირებს: „მარკვი, რა იქმნენ საკვირველი ესე ალთქმანი?“ (ნ. ბარათაშვილი). ეს სიტყვა არის გამოთქმებში: ალთქმული ქვეყანა, ძველი ალთქმა, ახალი ალთქმა...

ხშირია აღრვევის შემთხვევები. მაგალითად: „მკითხველი, რომელსაც პოეტური ალთქმის მაღლი აქვს მინიკეზული“ (ლიტ. საქ.). ცხადია, აქ უნდა ეხმარათ „პოეტური ალქმის მაღლი“. ასევე, სიტყვის არასწორი გამოყენების მაგალითია: „აგრე გვეგონებოდათ, მღუმარების ალქმა დაუღვიათ“. უნდა იყოს ალთქმა.

დავიხსოვოთ: ალქმა და ალთქმა ბარონიმებია. თითოეულ მათგანს თავისი ცნებითი შინაარსი და მონმარების საკუთარი სფერო აქვს. სალიტერატურო ქართულში მათი აღრევა გაუშარბოლებელია.

თინათინ ღვინია

ჩვენს ანკმტა

რამდენიმა ქართველ მწერალს ვთხოვთ

ეკასუსხა ჩვენს შაპითხვაზე:

1. მ. ჯავახიშვილი წერდა: „ენა მწერლის ბალავარია, მისი უმთავრესი იარაღია. ენის უცოდინარი მწერალი სამფეხა ცხენსა ჰგავს: გენიოსიც რომ იყოს, ვერც გაიქცევა და ვერც დაიძვრება“. თქვენი აზრი ამის თაობაზე.

2. ქართული ენისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით რომელი მწერალი მიგაჩნიათ სამაგალითოდ და რატომ?

3. თანამედროვე მწერალთაგან ვის გამოყოფდით ენის თვალსაზრისით?

4. ფიქრობთ თუ არა, რომ მწერლის ინტერესი სალიტერატურო ენისადმი მინელდა?

5. რა აზრისა ხართ სალიტერატურო ენის ნორმირების თაობაზე? როგორ წარმოგიდგენიათ მწერლის „ენობრივი თავისუფლება“?

6. როგორ გესახებათ დღევანდელ დღეს მწერლის

როლი თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მოვლა-პატრონობაში?

7. კ. გამსახურდიას აზრით: „ჩვენი კრიტიკა უგულვებელყოფს ხშირად არა მარტო სტილისტურსა და ენობრივ მომენტებს მწერლის შემოქმედებისას, იგი თვით იმის განსჯაში არ შედის, თუ რამდენად არღვევს ესა თუ ის მწერალი ქართული ენის ელემენტარულ ნორმებსა და სწორ წერას.“ თვლით თუ არა, რომ კლასიკოსის პრეტენზია კრიტიკის მიმართ სწორია?

ჩვენს შაპითხვაზეს ეკასუსხაზეს მწერალი ვახტანგ ჯავახიანი.

1. დიახ, ენა გახლავთ მწერლის მთავარი იარაღი. როგორც მომღერლისათვის აუცილებელია ხმა და სმენა, ასევე მწერლისათვის — ენის საიდუმლოების ცოდნა და სმენა. „ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს“. ქართული ენის საიდუმლოებას ყველაზე მეტად

რუსთაველი ჩასწვდა.

2. რაკი ენა მთავარი და გადამწყვეტია, ენისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით სამაგალითოდ ტრადიციული რიგი უნდა გავიმეოროთ: რუსთაველი, გურამიშვილი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი. ამ შესანიშნავ შვიდეულს უნდა დავუმატოთ გიორგი ლეონიძე, მისი პოეზია და პროზა.

3. თანამედროვეთაგან აშკარად გამოირჩევა გურამ დოჩინაშვილი. ამდენი თავისუფლება არცერთ ქართველ მწერალს არ გამოუჩენია. სწორედ ენობრივი კანონების დაპირისპირების ხარჯზე აღწევს მწერალი ეფექტს, მისი წარმატების ღომის წილი (კარგი გავებით) ენობრივი თვითნებობის ხარჯზეა მიღწეული. პოეზიაში ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ტარიელ ჭანტურიას საინტერესო ექსპერიმენტები.


4. კარგა ხანია, საერთოდ ლიტერატურისადმი ინტერესი მინელდა და შესაბამისად — სალიტერატურო ენისადმი ინტერესიც. და ყოველივე ეს, უპირველეს ყოვლისა, მწერლების ბრალია. მწერ-

ლები შემოქმედებითი ცხოვრებით ალარ ცხოვრობენ.

5. ჭეშმარიტი მწერლისათვის სალიტერატურო ენის ნორმები არ არსებობს. ჭეშმარიტი მწერალი თვითონ ქმნის ნორმებს. ამდენად, მწერალს უნდა ჰქონდეს და აქვს კიდევ სრული ენობრივი თავისუფლება. თუმცა, გვაქვს რამდენიმე შემთხვევა, როცა მწერალი ამ თავისუფლებას ბოროტად იყენებს, აჭარბებს ხოლმე.

6. სალიტერატურო ენას უნდა მოუაროს თვითონ მწერლობამ. და მას უნდა დაეხმაროს სახელმწიფო. ხოლო ვინაიდან ჩვენი სახელმწიფო უმძიმეს ეკონომიკურ პირობებში იმყოფება და თითქმის არავითარი საშუალება არა აქვს მწერლობას დაეხმაროს, ამჯერად მწერლის პასუხისმგებლობა კიდევ უფრო დიდია.

7. ბატონი კონსტანტინე გამსახურდია წლების მანძილზე შეუპოვრად იბრძოდა ქართული ენის სიწმინდისათვის. მისი პრეტენზია კრიტიკის მიმართ სწორი გახლდათ. დასანანი ისაა, რომ თანამედროვეთაგან ასეთი აქტიური მებრძოლები არ ჩანან.



ტელედ ქართულად ილაპარაკეთ...

ნახევარი გულგაღასევიდან

დღეს, როცა გაზეთი ნაკლებად (ან ვერ) აღწევს მკითხველამდე, უბირველეს საინფორმაციო წყაროდ რადიო-ტელევიზია იქცა. აქედან გამომდინარე, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართული სალიტერატურო ენის მოვლა-პატრონობის საქმეში ლომის წილი მასზე მოდის. ეს ფაქტი ღირსების საქმე უნდა იყოს რადიო-ტელევიზიის მუშაკათვის და გაათმაგებული პასუხისმგებლობის საფუძველიც. სამწუხაროდ, როგორც არასდროს, ისე მოჭარბდა ენობრივი თვალსაზრისით უპასუხისმგებლო გადაცემე-

ბი (შეიძლება ითქვას, რომ რადიოგადაცემებს ეს ნაკლებად ეხება). მაგალითები, რომელთაც ქვემოთ წარმოგიდგინებ, საინფორმაციო გადაცემებიდან და სარეკლამო განცხადებებიდანაა მოყვანილი. დაგვეთანხმებით, ეროვნული ტელევიზია ეროვნულ ენას ასე არ უნდა ექცეოდეს.

— მონად რედაქციაში ჩინოსანი მოხელის შექრა და მუქარა.

— იარაღი იხმარეს ღამის მდგომარეობაში.

— შეგიძლიათ შეიძინოთ ტრაქტორი, იგი ნახმარ მდგომარეობაშია.

— შეგიძლიათ შეიძინოთ სარეცხი მანქანა ახალ მდგომარეობაში.

— განცხადება შეიცავს მრავალი ფაქტების მოტანას.

— მე მივიღე მონაწილეობა ამ საკითხებთან დაკავშირებული საკითხების განხილვასთან დაკავშირებით.

— შესწავლაშია რამდენიმე მილიცია.

— რამაც გამოიწვია მრავალი ლტოლვილი.

— გვირახის გაჭრის გზით მოახდინეს გაქცევა.

— ეწევა სხვაგან სამსახურს.

— მიღები, რომლებიც ჩინეთში არის მოთხოვნაში, გასაყიდად არის

ჩადებული.

— მოახდინონ ამ განცხადების ქვეშ რეაგირება.

— ტვირთი არის დამისამართებული.

— ყველა დიდი ქარხნების ღირებულებები...

— ჩამოყვალიბდეთ კონსულტაციების გზით.

— ... შესაბამისობაშია მოყვანილი კანონთან...

— ამ ორი დღის უკან მომიწია ტელევიზიით გამოსვლამ (ლიტერატურული გადაცემის წამყვანი...)

მასალა მოგეაწოდა ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის ინსტიტუტის წამყვანმა მეცნიერმა თანამშრომელმა დოც.

ლ. ჭიჭილაძე

„ჩემმა მეგობარმა პ. იოსელიანის წიგნი წაიკითხა და აქვებდა: „რა დიდი ჭკუისა და ცოდნის კაცია ეს პლატონო“.

— მაინც რას წერს? — ვეკითხები.

— სწორედ გითხრათ, კარგად ვერ გაიგებ.

— მაშ დიდი ჭკუა რაში შეამჩნიეთ?

— დიდი ჭკუაც სწორედ იმაშია, რომ კაცმა საესებით ვერ გაიგოს, რაც დაწერილა.“ (ი. მანსვეტაშვილის მოგონებებიდან) გათავაზობთ რანდენ-

აბა გამოიცან, ანუ „დიდი ჭკუის კაცია კლატონი“...

ნიმე ამონარიდს თანამედროვე ავტორის წიგნიდან, რომელსაც ი. მანსვეტაშვილის მეგობრისა არ იყოს, ვერაფერი გაუგავთ.

„... სულიერება დროში დადგინებული მთლიანობაა, შინაგანად მოცემული, არსებობის ფორმით გამოვლენილი და ამი-

ტომ კონსტრუირდება ესთეტიკურ კატეგორიებში. იგი ან თვითშეგნებაში ფორმირდება, ან სხვის ცნობიერებაში. ჩემი ჭეშმარიტი მე — ჩემთვისვე — ჯერ კიდევ არაა ყოფიერებაში. მე — იმის კვალობაზე, თუ როგორ მესახება ჩემივე საზრისი

და ფასეულობა — უსასრულოდ მომთხოვნი საზრისის, მომავლის სამყაროში ვარ გადასროლილი“.

„... მიღმა ყოფნის, ანუ ტრანსგრედიენტულობის, ეს პოზიცია მორალურ უფლებასაც გვაძლევს, გავაკეთოთ ის, რაც შეუძლებელია

თავის თავში და თავის თავის მიმართ“.

„... ავტორს ჯერ კიდევ ვერ დაუკავებია მყარი პოზიცია პერსონაჟს მიღმა“.

ამჯერად ავტორისა და მონოგრაფიის დასახელებისაგან თავს ვიკავებთ. ჩვენი აზრით, ეს არაა არსებითი. მთავარია ის, რომ ავტორი ქართველია და ქართული ლიტერატურის თაობაზე ესაუბრება ქართველ მკითხველს. ისე კი, თუ რაიმე გაიგეთ ამ ამონარიდებიდან, იქნებ ჩვენც გაგვაგებინოთ.

მკითხველის თხოვნა

მკითხველის ღიმილნარევი წერილი მივიღეთ. ფაქტია, როგორც ჩვენი კლასიკოსი იტყოდა, ეს ღიმილი ცრემლზე მწარეა:

„თხოვნა საქართველოს ტელევიზიის ხელმძღვანელობას

ჩვენ, საქართველოს ტელევიზიის ქართული გადაცემების მოყვარულნი, მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდით: ინგლისურის (და ზოგჯერ სხვა უცხო ენის) არცოდნა ხელს გვიშლის ქართული გადაცემების გაგებაში.

გთხოვთ, უცხოური ენების არმცოდნეთათვის (ან მცირემცოდნეთათვის) დააარსოთ სატელევიზიო კურსები, შეგვასწავლოთ უცხო ენები იმდენად, რომ შევძლოთ თქვენს გადაცემების გაგება. უპირველესად ეს ქართული გადაცემების სათაურებს შეეხება.

დიდად დაგიმადლებთ. გ. ბიძინაშვილი“.

კომენტარისაგან თავს ვიკავებთ, ვიტყვით მხოლოდ, რომ თანავუგრძნობთ და ვიზიარებთ მკითხველის გულისტკივილს.

ბულს მისწინა ხატადა ენა მთისა და ბარისა

ს უ ს ო ბ ა ნ ი

დიდება ღმერთსა, მაღლი ღმერთსა, დიდება დღეს დღესინდელსა, რჯულქრისტიანთ სალოცავსა, მზესა, მზის მყოლ ანგელოზთა, დიდება დიდს კვირეესა, ხთის მაღლის მეკარვესა, დიდება-გამარჯვება თქვენდა, ჩვენო სალოცავნო! — გიორგი სომხოს გორისაო, ხთისშობელო, ხთისსაყვარელო, ბისოს კალთაზე მობურთვალო, ხოდაბურთ ყარაულო, თავადო მთავარანგელოზო, დარბაზის ყარაულო, თქვენა სადიდოდ, სამთავრო-გასამარჯვოდ იყვას მახრილის ჩოქით, გათხოვილის მაღლით, მაკსენებულის ხთის წესით მაყენებული ეს სამსახური, ბულვაური!... თქვენ თქვენ მარიგე ღმერთი არ მაგინყენსთ, არ მაგიძულესთ, თქვენ თქვენ მეხვწურებს ნუ მაინყენთ, ნუ მაიძულესთ; რასა მკარზე და გულზე გეძახდასთ, უშველეთ, დაეკმარენით, სანაღმართო ანგელოზ დაკმარეთ, მიწრიელნ დაულაგმენით კელი კმალ მტრისა ახკადეთ, კმა სიკვდილისა გადაუგდით, სხო ადგილალაგ მიასწავლეთ, გამაქსენით ბირკვლ-ბალინჯჩით, ავადობა-სნეულებაჩით გეხვწენბათ — შაი

ხვენენით, თქვენდ, კელი რიგ არ დაუყრავ, ნაქადებ არ უმტყუენებავ, ნაძახებ გაუგონეთ, აგრემც გაგემარჯვებათ! ამათ ყუდროჩი პურს უმატეთ, წულს უმატეთ, კაცს უმატეთ, კაცრივლობაც უმატეთ, ორფეკს უმატეთ, ოთხფეკს უმატეთ, ქუდიანთა მანდლიანთ უმატეთ; ამათ ყუდროჩით გამავალს— მემტრეს, მენადირეს, მგზავრს, მემგზაურს გახყევით, გაუმარჯვეთ, კელ მაუმართეთ, სარგებელს მიაგანეთ, სავნებელს მაამორეთ, შინ მშვიდობით დაიბრუნეთ, შინაურობა მშვიდობით დაახვედრეთ. თუ სხვა ხთიშვილნ უწყრებოდან, უჩიოდან მაღლი, ხოიშან მაუთხოვიდით, გულწაღმა, პირნაღმ დაუბრუნდიდით. ნურას მახკერძებთ, დააღირებთ სენს, სასჯელს, საზიანო საქმეს, მტრის ჩქამს, სიკვდილის კმას.

ხთის კრით და ხთის სიასაულნი კმელზეით ბასს კრეფდან, ყალანს ილებდან თქვენ მეხვწურებს უშველიდით, დაეკმარნიდით, კაბის კალთა დააფარიდით, კაბის კალთაჩი გაიხვიენიდით.

სნეულ გეძახდასთ ამათ ყუდრო-კარჩით, სამეშლო სახელიან აილიდით, ხთის კარზე

მაიკმარიდით, დამდგარი ეგ ზამთარ-ზამთრო მშვიდობით გადაყრიდით, გაზაფხულ მშვიდობისა მალგვარიდით, კარნაღმ გაუმართიდით, კარისა მკრის ნამაშვრალს ჯვარ დაუნერიდით, ბარაქა დაუტანიდით, სთველ ღალიან-ბარაქიან დაუყენიდით.

რასაც მე დიდება-ქსენებას დაგაკლებთ, თქვენ თქვენს წყალობას ნუ დააკლებთ თქვენ მეხვენურებს, ამათ თავჯალაფობას.

ისმინეთ, გაიგონეთ, იღირსეთ, შაინით! ათასიმც მაღლ გაქვთ, შამაძახილზე ნუ შამისანყინდებით, ზღვნითა და სანთლით გადამაქდიეთ.

გაემარჯვას ნადიდებ-ნაქსენებ ანგელოზთ, წყალობა მაგცასთ დასტურთ, მსახურთ; გაგიგონასთ, რასა მკარზე და გულზე ეძახთ.

მთქმალნი — შიპა როსტომის ან პურღუპუი (დუშეთის რ-ნი, სოფ. ანდაქი 1982 წ.)

ჩაიწვარა ნოდარ არღობაშვილი

ჩამწვარისაბან: ზემოთ წაბმდგენილი ცეცხლი აბის სუცმის (დამწყალმწმის) ერთ-ერთი ვაბიანცი, ბმბოლიც სტუ-

ლიტა სეკსტრეთში საკულტო-ბოლიგიუტ დღესასწაულუმე (ათენგენმა, დაციომმა, გილტგმა...) მსხვებულთმეწიბვისას. საცის თაყვანისმცემლის თსონით, სევისმებმა შეიბლუმა ისტეცს და საკულავი დაკლას დღომის გაბუმეც.

მსხვებულთმეწიბვის ბიტეჟალი სტუდუმა ასე: სტეცის ბქმეჟ სანთულდანიტუმულ საკლავს (საბტი, ცსჯატი) დააყენბინუმს პაბტონს მზის ამოსასვლელისაკენ პირმეცევიტ. თავად მესეჟებტი დანბდილი უდგას მარჯუნა მსატრს, სდლმ მარტსენა მსატრს მდგმბი სტეცის იწყუმს სტეცმბით. სტეცმბის ცეცხცის წაბმბბმბისას მეგარე განუწყველივ ბქკავს ზატს.

დასასტულ, სტეცის უბტომბოჟად დაამწყალმწმუმს მეგლუმე სალსს: „გაემარჯვას ნადიდუმ-ნათსენუმ ანგელოზთ, წყალმმა მაგცასთ დასტურთ, მსახურთ, ბასაც მეკარზე' გულზე ეძახდათ!“ სალსი მიუგუმს: „თქვენ იყვას მწყალმბოლი, თქვენ ენა-პირ დიდან აუმნას, წყალმმა მაგცასთ ანგელოზთ!“

ცეცხცი ენბმბივად საბნდთა და განეჟთვნუმა სეკსტრული დიალუცის მიღმასეჟტ თქმას.

შევეკიდეთ სიტყვის პაპას

ბუდე — ფრინველთ სახლი. ვიეთნი **ბუდეს** უწოდენ წიგნის ჩალათასა და მის თანა შთასადებელთა **ბუდედ** ითქმის რკოსა და მისთანათ საცავი. **ბუდედ** ითქმის საყოფელი მკეცთა. **ბუდედ** ითქმის ქუთუთო თვალთა. **ბუდედ** ითქმის თუალთა პატიოსანთა საპყრობი. **ბუდე** ეწოდების კრმლის ქარქაშსა.

თოვლი — რა წვიმას ზამთარს ცივი ჰაერი შეჰხუდების, შეათოებს და დამოცვივა. არამედ თოვლიცა ესრეთ განიყოფებიან: რამეთუ პირველ ზამთრისა რა დამის სიცივემა ცვარი შეათოს უკმობენ **თრთვლსა**. ხოლო პირველ დათოვასა ვიდრე მიწათა გაათერებაამდე უწოდენ **ყაპსა** და თუ დათოვა ტერფამდე და მეტი მისი იგი არს **ფიფქი**. და მისი უმეტესი **თოვლად** სახელიდების. უკეთუ **თოვლი** წვიმა ნარევი იყოს, **ჭყაპს** უწოდენ და თოვლიანსა ნისლსა **ბურსა**. თუცა ბურისა მიერ ხენი შეიყინნენ იგი არს **ჭირხალი**. უკეთუ ხეთა ზედა თოვლი დადგა ეწოდება **ხურხლი**. ქარიანსა თოვლსა ეწოდების **ბუქი**. ქარისაგან ახუჭტილსა ადგილსა ჰქვიან **ხიაცი**. და სადა თოვლი ნაბუქი შეგროვდა მას **ნანქერი**. თუცა შემბალი თოვლი შეყინა, ეწოდება **ბზარი** და რა ბზარი მზემა შეაღბო ეწოდება **ლელმა**. მცირესა ფიფქსა ბზარ ქმნილსა **არხილი**. რა თოვლი აჭრელდეს იგი არს **ლილო**. თუცა თოვლისა სიმრავლე მთამ ველარ იტკრთა და ჩამოიზვლა იგი არს **შევაგი**.

სიცილი. განყოფანი სიცილთანი ესე არს: **ლიმილი** არს



სიცილი სიმშდლით უკმო ბაგეთა ოდენ შეეცყობოდეს; **სიცილი** არს მცირედ ხმიანი და მდაბალი; **კაშკაში** არს სიცილი მაღალი და მოხდომილი; **კასკასი** არს სიცილი მაღალი წულილი; **რახრახი** არს სიცილი მაღალი და უშვერი; **თქართქარი** არს სიცილი მრავალთაგან შეხმობილი; **დინცილი** არს სიცილი მიწყვი უწესო; ხოლო **ფრუსტუნი** ვის არა ენებოს სიცილის გამოჩინება და ერთს საცინელს საკმეზედ წარსცინოს და მაღიად დაიდუმოს.

წვიმა. მზის შარავანდედი მიწათა და წყალთაგან აღიღებს ცვართა და შერთავს ღრუბელთა და ღრუბელი ვედარ დაიტევს ჩამოადენს წვმათა; **წვმათა** სახელნიცა განიყოფებიან; **ცუარი** არს სინოტივისაგან ჰაერისა უღრუბლოდ მოსული ღამით და დილეულ ფურ-

ცვლზედ მღვარი; **ნიჟი** არს ცვარის უმცირესი ნაწილი და **ღუაფი** ცვარისა უდიდესი; **თქორი** არს წვმა წვლილი და კაცთაგან ძნიად სახილაგი; **თქეში** უსხოსი თქორისა, ვითა აღნაცარი რამე; **ფრუტი** არს თქეში ნისლოვანი; **ჟღმურტლი** არს ფუტისა უდიდესი და უფროსად ნისლოვანი; **დეღგმა** არს წვმა დიდი და გვიან მომდარებელი; **ისხარი** წვმა სწრაფი და ადრე მომდარებელი; **დოღფო** წვმა დიდი და დამაბნელებელი და ღვაროვანი. **ქარიშხალი** არს ქარნარევი ძლიერი წვმა; **შხაპი** არს ანაზდი და ჩქარი წვმა; ხოლო ხეთა ფურცელნი რა წვმას იტკრთავს და შემდგომად წვეთას დაიწყებს, **ლექსსა** და **ჟვავს** უწოდენ.

მზერა — ჭურვტა. მზერაცა ესრეთ განიყოფებიან: **ხედვა** არს რა თვალთ კეოილად ხედვიდეს. **ჩენა** არს რა აკლდეს და მცირედ ხედვიდეს. **მზერა** არს რა შორით ხედვიდეს. **ჭვრეტა** არს რა ხანგრძლით დაკრვებით უმზერდეს რასმე. **ცქერა** არს გარჩევით ხილვისათვის ახლორე და ცქერით თვალი დააპყრას. **ჭვირობა** არს რა სარკმლითგარ გამოიხედვიდეს.

ნისლი. მზის სამჭურვალე წყალთა ქვეყანათა ნოტიოთაგან ორთქლს აჰკრეფს და შეიქმნების **ნისლი**. უკეთუ მრავალი აღილო მისგან იქმნების წვმანი და თუცა მცირედი აღილო მანანად შეიქმნების. ხოლო **ნისლიცა** ესრეთ განიყოფიან: მცირესა და თხელს ნისლსა ეწოდების **ფოშფოში**. კმელსა და მტურის მსგავსსა ნისლსა **ბორიაცი**. ხოლო ნოტიოსა ნისლსა **ბორი** და ნისლსა მონათოვსა **ბუერი**.

სხვისნი აზრი

ჩვენნი კომენტარით
ტელევიზიის ერთ-ერთ საინფორმაციო გამოშვებაში მოვისმინეთ: „კლასის ხელმძღვანელი ბიოლოგია, მაგრამ ყოველნაირად ცდილობს, ჩაუნერგოს ბავშვებს

სამშობლოს სიყვარული, ენის სიყვარული“.
საინტერესოა, რატომ უყვრს ჟურნალისტს ბიოლოგიის მასწავლებლის პატრიოტობა; ნუთუ, მისი აზრით, მო-

ზარდში სამშობლოს და დედანის სიყვარულის ჩანერგვა მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის საზრუნავია...

და უკომენტაროდ
„დღეს ორშაბათია. ქართული ენის ერთ-ერთმა დილაექტმა, მეგრულმა, შემოგვიანხა ამ დღის ძველქართული სხელი თუთაშხა“...

სამეცნიერო ქრონიკა

ახალი ნიგნები

ტიტე სულაბერიძე — მეტყველების კულტურის საკითხები (პირველი ნაკვეთი). ეს თანასახელმძღვანელო განკუთვნილია საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების მეტყველების კულტურის ან ქართული ენის პრაქტიკული კურსის მსმენელთათვის. წიგნში საჭირო თეორიულ განმარტებებთან ერთად მოცემულია პრაქტიკული ხასიათის სავარჯიშოებიც.

წიგნი დასტამბულია თბილისის კერძო უნივერსიტეტის „გეორგიას“ გარეშით.

ტიტე სულაბერიძე — ქართული ენის სწავლების ისტორიის საკითხები. ნაშრომი წარმოადგენს დამხმარე მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოს ქართული ენის მეთოდოლოგიის კურსის პროგრამით გათვალისწინებული ისტორიული ხასიათის საკითხების შესასწავლად.

წიგნი გამოსცა თბილისის

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურმა ინსტიტუტმა.

რუსუდან სალინაძე — ქართული მართლწერისა და სწორმეტყველების საკითხები. ნაშრომი მიძღვნილია თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენის სიწმინდის დაცვის საკითხებს; წიგნის ბოლო თავია „საქმის ქაღალდები“, რაც მკითხველთა ფართო წრისთვისაა განკუთვნილი.

წიგნი დაიბეჭდა ქუთაისში ავტორის ხარჯით.

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XXXIII — არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომათა მორიგ ტომში დაბეჭდილია თეორიული ხასიათის გამოკვლევები ზოგადი ენათმეცნიერების საკითხებზე,

ქართველური და მთის იბერიულ-კავკასიური ენების სტრუქტურისა და ისტორიის შესახებ. ტომში დასტამბული სტატიების ავტორები არიან ლ. ენუქიძე, ნ. კიზირია, ბ. ჯორბენაძე, ქ. ლომთათიძე, გ. გოგოლაშვილი, კ. დანელია, ალ. მაჰომეტოვი, თ. უთურგაიძე და სხვ.

კრებული განკუთვნილია ენის საკითხებით დაინტერესებული პირებისათვის, განსაკუთრებით კი ენათმეცნიერთათვის.

ტომი გამოსცა საწარმოო-საგამომცემლო გაერთიანება „მეცნიერებამ“.

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წიგნიწოდებული ტ. XX—XXI — კრებული ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა საერთაშორისო ორგანო, რომლის სარედაქციო

კოლეგიის წევრები არიან ცნობილი ენათმეცნიერები თბილისიდან და სოხუმიდან, მოსკოვიდან და მაჰაჩყალიდან, ნაღრიკიდან, მაიკოპიდან, გროზნიდან და ყარაჩაევსკიდან.

კრებულში დაბეჭდილ სტატიათა ავტორები არიან ბ. ჯორბენაძე, ქ. ლომთათიძე, შ. აფრიდონიძე, გ. ბურჭულაძე, კ. გაბუნია, ნ. ზვიადაური, ზ. მაჰომედბეკოვა, ლ. სანიკიძე, ტ. სიხარულიძე, მ. ტაბიძე (თბილისი), ვ. ბოედერი (ოლდენბურგი), ვ. ჩირიკა (მოსკოვი), უ. მეილანოვა, მ. ყულანდაროვი (მაჰაჩყალი), ფ. ოზდოევა, ნ. ბარახოევა (გროზნო). ტომში იბეჭდება ინფორმაცია იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის შესახებ.

დასტამბა საწარმოო-საგამომცემლო გაერთიანება „მეცნიერებამ“ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გარეშით.

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს სხდომაზე ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციები დაიცვეს:

ლირა მაროსანიძემ თემაზე „დიონისოს თრაკელის „გრამატიკის ხელნაწი“ და ძველი ქართული გრამატიკული აზროვნება“
თინათინ ბოლშაქაძემ თემაზე „პოეტური პარალელიზმი „ეუფისიტყაოსანში“ (ლინგვისტურ-ტიპოლოგიური კვლევა)“.

სტუდენტური საბჭო იცავს ქართულ ენას!

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა შიქსმა ქართული ენის დაცვის კომისია, რომელშიც შედიან: გ. ჭელიძე (თავმჯდომარე), ი. გოგავა, ნ. ტყემლაძე, ლ. ვეფხვაძე, გ. მამაცაშვილი. წარმატებას ვუსურვებთ მათ.

მოზაიკა

ასპარეზი ლინგვისტებისათვის

ფრანგი სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ დღეს მსოფლიოში 5651 ენაა, თუმცა მათი ორი მესამედი მხოლოდ ზეპირი ფორმით არსებობს, რაც მნიშვნელოვნად აძნელებს მათ შესწავლას. პლანეტის ყველაზე მრავალენოვან რეგიონებს შორის გამოირჩევა ჰიმალაი (აქ ლაპარაკობენ 160 ენაზე) და მდინარე ნიგერის აუზი (გავრცელებულია 200 ენა). აბსოლუტური რეკორდი კი ეკუთვნის წყნარ ოკეანეში მდებარე სახელმწიფოს პაპუა ახალ გვინეას, რომლის სამ მილიონზე ცო-

ტათი მეტი მოსახლეობა 1010 ენასა და დიალექტზე ლაპარაკობს.

ერთი ენა ყველა ჩინელისათვის

ჩინეთის მოქალაქეები არცთუ იშვიათად ვერ აგებინებენ ერთმანეთს. ამის მიზეზია საკმაოდ დიდი განსხვავებები აქ არსებულ მრავალრიცხოვან დიალექტებს შორის. რამდენიმე წლის წინ ჩინეთის მთავრობამ ასეთი ამოცანა დასახა: 2000 წლამდე ყველა ჩინელმა უნდა იცოდეს ერთიანი სალიტერატურო ენა — პუტუნუზუა, რომელსაც მასიურად ამკვიდრებენ სკოლებში, რადიოსა და ტელევიზიაში. დღესდღეობით ენობრივი ბარიერები

ამუხრუჭებენ ქვეყნის ტექნიკურ და კულტურულ პროგრესს.

შცნაური ორენოვნება

პარაგვაის სახელმწიფო ენაა ესპანური, თუმცა მოსახლეობის 95-მა პროცენტმა იცის და იყენებს ადგილობრივ უმწერლობ ენას — გუარანის. შეყვარებულობის დროს მაშაკაცი თავის გულისსწორს ესპანურად ესაუბრება, ხოლო დაქორწინების შემდეგ გუარანზე გადადის.


შესტი თუ ბბპარა?

როგორც ეტყობა, თავის დროზე საკმაოდ საფუძვლიანად უარყოფილ ენის წარმოშობის კინეტი-

კურ თეორიას (ე. კონდილიაკი, რ. პიაჟე, ნ. მარი და სხვები), რომლის მიხედვითაც უძველესი პერიოდის ადამიანები ეესტების საშუალებით ამყარებდნენ კავშირს ერთმანეთთან, ახალი ადვოკატები გამოუჩნდა. ეს ინტერესი განაპირობა აშშ-სა და რუსეთში სამხედრო მიზნებისათვის ჩატარებული ექსპერიმენტებმა, რომელთა დროსაც მაიმუნებს ასწავლიდნენ ეესტების ენას, რასაც ისინი ძალიან მიეჩვივნენ. აღმოჩნდა, რომ ეესტების ენის მცოდნე მაიმუნს ადამიანებისაკენ უფრო მიუწევდა გული, ვიდრე ეესტების ენის არმცოდნე თანატომელებისაკენ.



ენაშენა



მარცვალ-მარცვალი

გთავაზობთ ახალ თამაშს. შეარჩიეთ ორი სიტყვა, დამარცვლეთ და შემდეგ ამ მარცვლებით შეადგინეთ ახალი სიტყვები. თქვენ მიერ შედგენილი სიტყვები უნდა იყოს ორმარცვლიანი, თითოეულ მათგანში ერთი მარცვალი ერთი სიტყვიდან უნდა იყოს აღებული, მეორე — მეორიდან, თანმიმდევრობას მნიშვნელობა არა აქვს. მაგალითისათვის ავიღოთ ორი არსებითი სახელი: კალამი და სახელი. დავმარცვლოთ: კა-ლა-მი, სა-ხე-ლი. ამ სიტყვების მარცვლებიდან შეიძლება ხუთი ორმარცვლიანი სიტყვის მიღება: ლალი, მილი, ხემი, ლილა, სალა. გაძლევთ დავალებას: ჩამოთვლილი სიტყვების წყვილიდან ზემოთ მოცემული წესის მიხედვით შეადგინეთ ახალი ორმარცვლიანი სიტყვები, საზოგადო არსებითი სახელები: ფარგალი—კოდალა, კალამი-დალაქი, სარდალი-მარილი, ხარატი-სოფელი, ნიკა-პი-შაქარი.

თამაშში მოგებული იქნება ის, ვინც მეტ სიტყვას შეადგენს მოცემული წყვილიდან. წყვილთა შერჩევა თქვენც შეგიძლიათ. მაშ, ვითამაშოთ „მარცვალ-მარცვალი“.

რატომ ვაპოვებ ასე

ელემის ბალი

„ბიბლიის“ მიხედვით, ადამიანის გარდაცვალების შემდეგ სული გაუკრება ხორცს და საიქიოში მიდის. საიქიო ორი ნაწილისაგან — სამოთხისა და ჯოჯოხეთისაგან — შედგება. ჯოჯოხეთში ავისმქმნელები და ურწმუნონი ხვდებიან, სამოთხეში კი — კეთილისმეტყველები და მორწმუნენი. ჯოჯოხეთში მარადიულ სამიხულ ცეცხლში იტანჯებიან ცოდვილთა სულები; სამოთხე მარადიული სანეტარო ადგილია, ელემის ბალი — მისი საუკეთესო კუთხე. ამიტომაც ელემის ბალს უღამაჯეს ადგილს უწოდებენ — სიმშვენიერით, სიმდიდრითა და სიკეთით განთქმულს.

სირინოზის ხმა

კარგ მომღერალზე ვამბობთ ხოლმე — „სირინოზის ხმა აქვსო“. იგივე შეიძლება ითქვას ვინმეზე დაცინვით, ვისაც მეტად არამუსიკალური ხმა აქვს. გამოთქმა ძველბერძნული მითოლოგიიდან მომდინარეობს. მითების თანახმად იტალიის სამხრეთ სანაპიროზე

ცხოვრობდნენ უცნაური ქალიშვილები, რომლებიც უტკბოდ სიმღერებით ხიბლავდნენ ახლოგაშვებულ მგზავრებს, თავისთან მიაყვადით და შემდეგ ხოცავდნენ. მათ სხეულის ზემო ნაწილი ქალისა ჰქონდათ, ქვედა კი — ფრინველის. მათ სირინოზები ერქვათ.

პომპროსის „ოდიხას“ მიხედვით, ისინი სკილასა და კირკეს კუნძულებს შორის მდებარე პატარა კუნძულზე ბინადრობდნენ. ამ კუნძულთან ჩავლისას ოდიხესმა თანამგზავრებს ყურები ცვილით ამოუკმანა, საკუთარი თავი კი მტკიცე თოვლებით ანძაზე მიაკრევიდა და ბრონა, არაავითარ შემთხვევაში არ აუშვავთ იგი, სანამ სირინოზების კუნძულს არ გაშორდებოდნენ, რომ მათი სიმღერით მოზიბლულნი ზღვაში არ გადამტარებენ და მათთან არ წასულიყვნენ.


სირინოზების კუნძულს ჩაუარეს არგონავტებმაც, მაგრამ მათ სამყოველს რომ მიუახლოვდნენ, ორფეესმა სიმღერა დაიწყო, სირინოზების ხმა დაჩრდილა და მათ მშვიდობით ჩაიარეს ეს სამიში ადგილი.

თავსატახნი

ხომ ისწავლეთ, რით განსხვავდება ერთი ბგერა მეორისაგან? დიახ, წარმოთქმის ადგილის მიხედვით. ჰოდა, ჩვენი თავსატახნის მთავარი პირობაც ასეთი იქნება: ჩვენს მიერ მოცემულ წინადადებაში თანხმობანი ბგერა უნდა შეიცვალოს შესაბამისი რიგის (წარმოთქმის ადგილის მიხედვით) ან მასთან ყველაზე ახლოს მდგომი ბგერით; ასევე უნდა მოვიცქეთ ხმოვნების მიმართაც: წინა რიგის ხმოვანი წინა რიგის ხმოვანთგან უნდა შეიცვალოს და ასე შემდეგ. შევახსენებთ, ა ნეიტრალური ხმოვანია და იგი არ უნდა შევცვალოთ.

მაშ ასე, ამოხსენით რა წერია:
ელუ თა ალა ელუ ლა, ელუ ილდე ნიბი

წინა ნომერში გამოქვეყნებული თავსატახნის პასუხები



მალი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა გამოსცემს ბესარიონ ჯორბენაძის ახალ წიგნს „ქართველურ ენათა დიალექტები“. გთავაზობთ ამ წიგნში ჩართულ რუკას. ვფიქრობთ, იგი დააინტერესებს ჩვენს მკითხველს.

